

ბრძანება

14 თებერვალი 2019 წ.

თბილისი

№ 146/03 .

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე სტუდენტთა ჩარიცხვის შესახებ

“უმაღლესი განათლების შესახებ” საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, 52-ე მუხლის მე-3 პუნქტის, „თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის წესდების“ მე-14 მუხლის შესაბამისად და “აბიტურიენტებისათვის/სტუდენტებისათვის მაგისტრანტობის კანდიდატებისათვის ერთიანი ეროვნული გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სწავლის უფლების მინიჭების თაობაზე” საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს 2019 წლის 11 თებერვლის №134 ბრძანების გათვალისწინებით,

ვბრძანებ:

1. თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის მედიცინის საერთაშორისო ფაკულტეტის ინგლისურენოვან პროგრამაზე ჩარიცხულ იქნენ შემდეგი მოქალაქეები:
 1. ჩანდუნი ჯანანი ტანიია დე სილვა იაკუპიტი- შრი-ლანკას დემოკრატიული, სოციალისტური რესპუბლიკის მოქალაქე;
 2. კავიიშა პუნსარა ვალიმუნიარაჩჩი-შრი-ლანკას დემოკრატიული, სოციალისტური რესპუბლიკის მოქალაქე;
 3. ჯიჰად დანნავი-ლიბანის რესპუბლიკის მოქალაქე;
 4. სოუმია ჯოზეფჰ-ინდოეთის რესპუბლიკის მოქალაქე;
 5. აჰმად შარიფ ზაიედ აბუ შეჰადეჰ-იორდანის ჰაშემიტური სამეფოს მოქალაქე;
 6. ნეჰა სრისკანდარაჯაჰ-შრი-ლანკას დემოკრატიული, სოციალისტური რესპუბლიკის მოქალაქე;
 7. კავინდუ უდაიანგა დიკუმბურა დიკუმბურა ტანტირიგე-შრი-ლანკას დემოკრატიული, სოციალისტური რესპუბლიკის მოქალაქე;
 8. საიფ ულ ჰაჟ შოუკატ-ინდოეთის რესპუბლიკის მოქალაქე.
2. ამ ბრძანების პირველი პუნქტით განსაზღვრულ სტუდენტებს ადმინისტრაციული რეგისტრაციის ვადა განესაზღვროთ 2019 წლის 19 აპრილამდე.

3. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე და ჩარიცხული სტუდენტების სწავლების კურსის განსაზღვრა დაევალოს მედიცინის საერთაშორისო ფაკულტეტის დეკანს დ.თოფურიას.

4. დაევალოს საზოგადოებასთან ურთიერთობისა და პროტოკოლის სამსახურს ბრძანების გამოქვეყნება თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე.

5. ბრძანება ეგზავნება ვიცე-რექტორს ხ. თოდაძეს, საერთაშორისო ურთიერთობათა დეპარტამენტის უფროსს თ.კილასონიას, თსსუ-ს მედიცინის საერთაშორისო ფაკულტეტის დეკანს დ.თოფურიას, საზოგადოებასთან ურთიერთობისა და პროტოკოლის სამსახურის უფროსს თ. სტეფანიშვილს, სასწავლო პროგრამების მართვის, შეფასებისა და სტუდენტთა რეგისტრაციის დეპარტამენტის უფროსს რ. რუხაძეს, ეკონომიკურ დეპარტამენტს.

6. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.



პროფესორი ზურაბ ვადაჭკორია

რექტორი